ა(ა)იპ "გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი"

წ ე ს დ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

ეს წესდება განსაზღვრავს ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის" (შემდგომ - გალობის უნივერსიტეტი - რომელსაც „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გააჩნია სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი) საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, მიზნებსა და ამოცანებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოების ფუნქციებს, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, ქონებასა და ფინანსებს, წესდებაში ცვლილების შეტანის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს.

მუხლი 2. გალობის უნივერსიტეტის სტატუსი

1. გალობის უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. გალობის უნივერსიტეტის სახელწოდებაა - ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი".
3. გალობის უნივერსიტეტი არ არის წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი.
4. გალობის უნივერსიტეტი იქმნება განუსაზღვრელი ვადით.
5. გალობის უნივერსიტეტს აქვს ოფიციალური ბეჭედი, ლოგო, საბანკო ანგარიში.
6. გალობის უნივერსიტეტის დღესასწაულია გიორგი მთაწმინდელის ხსენების დღე - 10 ივლისი.
7. გალობის უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული.
8. გალობის უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ.№21.
9. გალობის უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული მისამართია: infosaeklesiomusica@gmail.com;
10. გალობის უნივერსიტეტს შეუძლია თავისი სახელით მონაწილეობდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, გამოვიდეს საპროცესო მხარედ ან მესამე პირად სასამართლოში ან/და არბიტრაჟში.

მუხლი 3. გალობის უნივერსიტეტის საქმიანობა

მუხლი 4. გალობის უნივერსიტეტის საქმიანობა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. გალობის უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს უმაღლესი განათლების ორ საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

2. გალობის უნივერსიტეტი შეიძლება ეწეოდეს ყველა იმ საქმიანობას, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით და რომელიც შეესაბამება „კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, ეკლესიის ავტორიტეტსა და გალობის უნივერსიტეტის მიზნებს.
3. გალობის უნივერსიტეტი მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტების, ამ წესდებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 5. გალობის უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები

1. გალობის უნივერსიტეტის მიზანია:
   ა) რწმენისა და ცოდნის სინთეზზე, განათლების უწყვეტობაზე, ქრისტიანულ ფასეულობებსა და მემკვიდრეობითობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას, ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების დაცვას და ორიენტირებას ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მაღალ კულტურულ ღირებულებებზე;
   ბ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისთვის;
   გ) ქართული ტრადიციული ხელოვნების სპეციალისტების, შემსრულებლების, მკვლევრებისა და პედაგოგიური კადრების მომზადება. მგალობელ-მომღერლებისა და საეკლესიო მუსიკისმცოდნეებისა და ეთნომუსიკოლოგების მომზადება, მათი საშემსრულებლო და სამეცნიერო დონის ამაღლება, მრავალსაუკუნოვანი სამგალობლო ტრადიციების აღდგენა;
   დ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისთვის;
   ე) ქართული გალობა-სიმღერის ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა და განვითარება, მრავალსაუკუნოვანი სამგალობლო ტრადიციების აღდგენა;
   ვ) მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის ხელშეწყობა;
   ზ) თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კადრების მომზადება და საერთაშორისო ევროპულ სამეცნიერო და საგანმანთლებლო სივრცესთან ინტეგრაცია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად გალობის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
   ა) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;
   ბ) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას;
   გ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ჩამოყალიბებას;
   დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მინიჭებას.

თავი II. გალობის უნივერსიტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 6. გალობის უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურა

1. გალობის უნივერსიტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები განისაზღვრება ამ წესდებით.
2. გალობის უნივერსიტეტი შედგება საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, რექტორის, პრორექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ადმინისტრაციის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიბლიოთეკისა და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისგან.
3. გალობის უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და მმართველი სუბიექტები არიან: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, რექტორი, პრორექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. მართვის ორგანოებს შორის კომპეტენციები ნაწილდება ამ წესდებით და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.
4. გალობის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის მართვის ორგანო და მმართველი სუბიექტია ფაკულტეტის საბჭო და დეკანი.
5. გალობის უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულები, აგრეთვე ზემოთ მითითებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობისა და დაკომპლექტების წესი, განისაზღვრება გალობის უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის შიდა სამართლებრივი აქტითა და მის მიერ დამტკიცებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით.
6. მართვის ორგანოების წევრთა (თანამდებობის პირთა) თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება რეგულირდება ამ წესდებითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 7. გალობის უნივერსიტეტის საერთო კრება

1. გალობის უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველი ორგანოა საერთო კრება, რომელიც შედგება 2 წევრისგან:

სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია - იგივე „საქართველოს საპატრიარქო“ (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II - ის მოედანი №1, გადასახადის გადამხდელის ნომერი - 204395537), წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II-ის (სამოქალაქო სახელი - ირაკლი შიოლაშვილი; დაბადების თარიღი-04.12.1933; მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი №1; პირადი ნომერი - 01015004723) სახით, და

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქველმოქმედო ფონდი ქართული გალობა (იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გერგეთის

ქუჩა, №3, გადასახადის გადამხდელის ნომერი - 404440761) წარმოდგენილი ნანა გოთუას, დაბადების თარიღი 23.03.1963; მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. 106; 01025001868) სახით.

2. საერთო კრება განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:
ა) თავმჯდომარისა და სხდომის მდივნის არჩევა საერთო კრების წევრებიდან, ხმათა უმრავლესობით.
ბ) გალობის უნივერსიტეტის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა.
გ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა და გათავისუფლება.
ე) საერთო კრების მუშაობის წესის დამტკიცება.
ვ) გალობის უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
ზ) ადგილობრივ და საერთაშორისო სუბიექტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, სხვადასხვა სახის რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხები.
3. საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს ერთ-ერთ წევრს.
4. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად.

მუხლი 8. გალობის უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო

1. გალობის უნივერსიტეტის მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო.
2. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება ამ წესდებით.
3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საერთო კრება.
4. სამეთვალყურეო საბჭო შედგება თავმჯდომარისა და ორი წევრისგან:

- თავმჯდომარე - ივანე ჩხარტიშვილი (პირადი ნომერი - 01025003134; მისამართი - ქ. თბილისი, მცხეთის ქ. 1-ლი შესახვევი, 1-ლი ჩიხი, N13; დაბადების თარიღი - 30.01.1964წ.);
- წევრი - დეკანოზი ანდრია (ზვიადი) ჯაღმაიძე, (პირადი ნომერი - 65002006974, მისამართი - თბილისი, ბაგების დასახლება, კორპუსი 3, ბინა N74, დაბადების თარიღი 18.07.1971წ.);
- წევრი - ლალი სეთურიძე (პირადი ნომერი - 01001010818; მისამართი - ქ. თბილისი, აბანოს ქ. N21; დაბადების თარიღი 22.08.1953წ.).

5. სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.
6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს იწვევს თავმჯდომარე, რომელიც განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.
7. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.
8. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობა. გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად, გარდა მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის ა) ქვეპუნქტით გათვალისიწნებული შემთხვევისა, (რექტორის დანიშვნა და გათავისუფლება) რომლის შემთხვევაშიც, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია

მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საბჭოს საერთო შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა, იმ პირობით, რომ ასეთი უმრავლესობიდან ერთ-ერთი ხმა ეკუთვნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება არ ჩაითვლება მიღებულად.

9. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია:

ა) რექტორის დანიშვნა და გათავისუფლება.

ბ) თვალყურს ადევნებს გალობის უნივერსიტეტის სახსრებისა და ქონების მიზნობრივ გამოყენებას;

გ) აკონტროლებს და ამოწმებს გალობის უნივერსიტეტის ფინანსურ დოკუმენტაციასა და წლიურ ანგარიშებს;

დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს გალობის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ე) მონაწილეობს გალობის უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრაში და წარადგენს შესაბამის რეკომენდაციებს, ამტკიცებს საშტატო ნუსხას;

ვ) განიხილავს და ამტკიცებს რექტორის მიერ წარდგენილ გალობის უნივერსიტეტის ბიუჯეტს;

ზ) წარუდგენს რექტორს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას დასანიშნად;

თ) განიხილავს შემოსულ წინადადებებს/საჩივრებს, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

ი) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს, დადგენილებებს.

მუხლი 9. გალობის უნივერსიტეტის რექტორი

1. რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო.
2. რექტორის უფლებამოსილება, დანიშვნის წესი და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ამ წესდებითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტით.
3. რექტორი არის გალობის უნივერსიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი.
4. რექტორი უფლებამოსილია გალობის უნივერსიტეტი წარმოადგინოს ერთპიროვნულად.
5. ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად რექტორი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს გალობის უნივერსიტეტის მართვა;

ბ) კოორდინირება გაუწიოს გალობის უნივერსიტეტის ყოველდღიურ აკადემიურ, სამეცნიერო, ფინანსურ-ეკონომიკურ, ტექნიკურ და ამ წესდებით განსაზღვრულ ყველა სხვა საქმიანობას;

გ) გალობის უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. თუ გარიგებისა და შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

დ) დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები;

ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშაოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს გალობის უნივერსიტეტის საშტატო ნუსხა;

ვ) სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი;

ზ) დაამტკიცოს დეკანის მიერ წარდგენილი აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა;

თ) დაამტკიცოს გალობის უნივერსიტეტის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სხვა შიდა მარეგულირებელი წესები;

ი) განსაზღვროს და დაამტკიცოს გალობის უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა სტრუქტურული ერთეულები და მათი საქმიანობის წესი;

კ) დაამტკიცოს დიპლომისა და მისი დანართის ფორმები;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიიღოს და სამსახურიდან გაათავისუფლოს გალობის უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი;

მ) განიხილოს საჩივრები გალობის უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით და მიიღოს შესაბამისი ზომები;

ნ) რექტორი უფლებამოსილია მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების და აგრეთვე გალობის უნივერსიტეტის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად შექმნას საკონსულტაციო საბჭოები და კომისიები, რომელთა საქმიანობა რეგულირდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ო) დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა;

6. კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მოწესრიგების მიზნით რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს.
7. რექტორის არყოფნის პერიოდში მის მოვალეობას ასრულებენ ადმინისტრაციის ნაწილში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხოლო სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში პრორექტორი.

მუხლი 10. გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მართავს გალობის უნივერსიტეტს ფინანსურ, მატერიალურ და ადმინისტრაციულ სფეროში.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება, დანიშვნის წესი და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ამ წესდებითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტით.
5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

ბ) გალობის უნივერსიტეტის სახელით, რექტორთან ერთად, მისი ბიუჯეტის შესაბამისად დებს ფინანსურსა და ეკონომიკურ გარიგებებს;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ამზადებს გალობის უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს და შესათანხმებლად წარუდგენს გალობის უნივერსიტეტის რექტორს;

დ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს გალობის უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს;

ვ) გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) პასუხს აგებს გალობის უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

მუხლი 11. გალობის უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო - სამეცნიერო დარგში

1. პრორექტორი მართავს სასწავლო და სამეცნიერო-შემოქმედებით პროცესს.
2. პრორექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით.
3. პრორექტორი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.
4. პრორექტორის უფლებამოსილება, დანიშვნის წესი და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ამ წესდებითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტით.
5. პრორექტორი:

ა)მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის სასწავლო პოლიტიკის და სამეცნიერო-შემოქმედებითი პრიორიტეტების განსაზღვრასა და დანერგვაში;

ბ) უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამების შეუფერხებლად მიმდინარეობას;

გ) მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, განვითარებასა და ცვლილებების შეტანის პროცესში;

გ ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური კადრების შერჩევისა და დასაქმების პროცესში;

დ) მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის პროცესებთან დაკავშირებულ აქტივობებში;

ე) სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს დეკანთან და აკადემიურ პერსონალთან;

ვ) ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებას;
ზ) მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებაში;
თ) კურირებს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურს.

მუხლი 12. გალობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და მისი ხელმძღვანელი

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს გალობის უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზითა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გალობის უნივერსიტეტის რექტორი.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ წესდებითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.
4. ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად გალობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს:
   ა) შიდა და გარე შეფასების პროცედურების კოორდინაციას, რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
   ბ) გალობის უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების განხილვასა და რექტორთან დასამტკიცებლად წარდგენას;
   გ) გალობის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევის შეფასების წესების შემუშავებას და რექტორთან დასამტკიცებლად წარდგენას;
   დ) თვითშეფასების კითხვარის შემუშავებას და აღნიშნული კითხვარის ანალიზის საფუძველზე, რეკომენდაციების წარდგენას შესაბამის სტრუქტურებში;
   ე) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (კრედიტები, მოდულები და ა.შ.) დანერგვის ორგანიზებას;
   ვ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას გალობის უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის კურიკულუმის შემუშავებასთან და ავტორიზაციასთან/აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;
   ზ)გალობის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენას ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან და რეკომენდაციების

წარდგენას ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

თ) ავტორიზაციის/აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის და თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების მომზადების ორგანიზებას.

მუხლი 13. ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომ - ფაკულტეტი) არის გალობის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, სამეცნიერო კვლევებს და უზრუნველყოფს საშემსრულებლო საქმიანობას.
2. ფაკულტეტის მიზანია პრაქტიკული ხასიათის საქმიანობასა და სამეცნიერო კვლევებზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე ბაკალავრებისა და მაგისტრების მომზადება, აგრეთვე პედაგოგიური კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.
3. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:
   ა) ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისი პროგრამებისა და კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა და განვითარება;
   ბ) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის კოორდინირება;
   გ) სტუდენტების კულტურულ-ზნეობრივი მოთხოვნილებებისა და ინტელექტუალური შემოქმედებითი ნიჭის განვითარება;
   დ) მართვის ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ წესდებით დასმული მიზნების მიღწევას.
4. ფაკულტეტის უფლებამოსილება:
   ა) ცოდნის მისაღებად სათანადო პირობების შექმნა, სასწავლო პროცესის წარმართვა და კოორდინირება;
   ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებაზე კონტროლი;
   გ) პროფესორ - მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვების მონიტორინგი;
   დ) გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართების მონიტორინგი;
   ე) სტუდენტთა უზრუნველყოფა საჭირო დოკუმენტაციით.

მუხლი 14. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის მართვის ორგანო და მმართველი სუბიექტია ფაკულტეტის საბჭო და დეკანი.
2. ფაკულტეტის საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი და სხვა სტრუქტურული ერთეულები და მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება რექტორის შიდა სამართლებრივი აქტით.
3. ფაკულტეტის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებითა და ფაკულტეტის დებულებით.

მუხლი 15. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტს მართავს დეკანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გალობის უნივერსიტეტის რექტორი.
2. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილება, დანიშვნის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ამ წესდებითა და ფაკულტეტის დებულებით.
3. ფაკულტეტის დეკანი:
   ა) კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია რექტორისა, პრორექტორისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
   ბ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
   გ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
   დ) წარუდგენს რექტორს და პრორექტორს დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას;
   ე) წარუდგენს რექტორს და პრორექტორს დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას;
   ვ) კომპეტენციის ფარგლებში სწრაფ რეაგირებას ახდენს ყველა დისციპლინურ დარღვევაზე და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს;
   ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებითა და გალობის უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
   თ) უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

მუხლი 16. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის მმართველი წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო.
2. ფაკულტეტის საბჭო შედგება 11 წევრისგან - დეკანის, აკადემიური პერსონალის საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით არჩეული აკადემიური პერსონალის 7 და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 3 წარმომადგენლისგან. საბჭოს წევრებს დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.
3. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება ფაკულტეტის საბჭოს წევრთა დამტკიცებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
4. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი, რომლის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
5. ფაკულტეტის საბჭო:
   ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;
   ბ) შეიმუშავებს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
   გ) იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის კომიტეტის შექმნის შესახებ;
   დ) განიხილავს პროგრამის კომიტეტის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებს და დასკვნისთვის წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
   ე) შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ვ) განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს;
ზ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ისმენს დეკანის ანგარიშს ფაკულტეტზე გაწეული მუშაობის შესახებ;
თ) განიხილავს და ამტკიცებს დეკანის მიერ წარმოდგენილ ფაკულტეტის ყოველწლიურ სამუშაო გეგმასა და ანგარიშს;
ი) შეიმუშავებს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დებულებას;
კ) იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
ლ) ახორციელებს გალობის უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. ფაკულტეტის საბჭოს მიმდინარე სამუშაოებსა და საქმისწარმოებას ახორციელებს მდივანი, რომელიც აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს პირველ სხდომაზე მისი წევრებიდან ღია კენჭისყრით.
7. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები ღიაა და მათზე დასწრება სათათბირო ხმის უფლებით აქვს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს. სხდომებზე სხვა პირების დასწრების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები ტარდება თვეში ერთხელ, ან საჭიროებისამებრ თავმჯდომარეს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით, ან წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
9. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3, გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
10. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე კენჭისყრა არის ღია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებითა და გალობის უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის შესახებ იწერება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
12. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების წესი, პროცედურა, უფლებამოსილება და მუშაობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.

თავი III. გალობის უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 17. გალობის უნივერსიტეტის პერსონალი

1. გალობის უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.
2. გალობის უნივერსიტეტში პერსონალის სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან გათავისუფლების წესი რეგულირდება ამ წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 18. გალობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. გალობის უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისგან და ასისტენტებისგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო, შემოქმედებით და სამეცნიერო-კვლევით პროცესს.
4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ - პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.
5. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 19. აკადემიური თანამდებობის დაკავების პროცედურა

1. გალობის უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობას, თანასწორობასა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება გალობის უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით.
3. გალობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის არჩევისა და საქმიანობის წესი, აგრეთვე უფლებამოსილების ვადები განისაზღვრება გალობის უნივერსიტეტის „აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევის/დანიშვნის წესით“.
4. აკადემიური პერსონალი შეიძლება იყოს აფილირებული.
5. გალობის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები და მათი გალობის უნივერსიტეტთან აფილირების წესი და პროცედურა განისაზღვრება გალობის უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის აფილირების წესით“.

მუხლი 20. აკადემიური წოდებები

1. გალობის უნივერსიტეტს უფლება აქვს მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის ან ემერიტუსის წოდება.
2. საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების წესი და პირობები განისაზღვრება გალობის უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტით.
3. ემერიტუსის წოდების მქონე პირს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოს გალობის უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა.

მუხლი 21. გალობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უფლებები

1. აკადემიურ პერსონალს კომპეტენციის შესაბამისად უფლება აქვს:

ა) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები) შინაარსი, სწავლების მეთოდები და ინსტრუმენტები გალობის უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. გალობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, გალობის უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

ბ) დაიცვას გალობის უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის წესები და სტანდარტები;

გ) დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები, აუხსნას სტუდენტებს მათი მნიშვნელობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს პლაგიატის გამოვლენის, მისი აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისთვის მექანიზმების შემუშავებაში;

დ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

მუხლი 22. გალობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) გალობის უნივერსიტეტის სამართლებრივი ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

ე) გალობის უნივერსიტეტის შინაგანაწესით, შიდა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 23. გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. გალობის უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.
3. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
4. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული გალობის უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

5. გალობის უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

მუხლი 24. გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

დ) გალობის უნივერსიტეტის შინაგანაწესით, შიდა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

თავი IV. გალობის უნივერსიტეტის სტუდენტი

მუხლი 25. გალობის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი, უფლებები და ვალდებულებები

1. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. პირს გალობის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ენიჭება გალობის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.
3. სტუდენტის სტატუსი სტუდენტს უფლებას აძლევს ისარგებლოს სტუდენტისთვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.
4. სტუდენტს უფლება აქვს:

   ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

   ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევებში;

   გ) დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს გალობის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

   დ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობასა და ფაკულტეტის საბჭოში გალობის უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესაბამისად;

   ე) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.
5. გალობის უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება, რისთვისაც შეიმუშავებს სათანადო პროცედურებს.

6. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები და პროცედურები განისაზღვრება გალობის უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა“ და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
7. სტუდენტი ვალდებულია:

   ა) გალობის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში და წესით გაიაროს ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) და აკადემიური რეგისტრაციები;

   ბ) შეასრულოს გალობის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;

   გ) უზრუნველყოს გალობის უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა;

   დ) არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე/პლაგიატი;

   ე) წარუდგინოს გალობის უნივერსიტეტს უტყუარი ინფორმაცია;

   ვ) წერილობითი გაფრთხილებისა და შესაბამისი თანხმობის გარეშე (თვითნებურად) არ მიატოვოს სასწავლო პროცესი;

   ზ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ამ წესდებით, გალობის უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 26. გალობის უნივერსიტეტის სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. დისციპლინური წარმოების საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანო განისაზღვრება გალობის უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით;
2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული.
3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, გალობის უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
4. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

   ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;

   ბ) დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით; წარადგინოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

   გ) მოითხოვოს, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.
5. დისციპლინური დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს. დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის

მტკიცებულებებს. კანონმდებლობის წესების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

6. დისციპლინის დარღვევისათვის სტუდენტის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გალობის უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.
7. სტუდენტს უფლება აქვს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება დისციპლინური ღონისძიებების დაკისრების თაობაზე გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V. გალობის უნივერსიტეტის ქონება და დაფინანსება

მუხლი 27. გალობის უნივერსიტეტის ქონება

1. გალობის უნივერსიტეტის ქონება შედგება მისთვის საქართველოს საპატრიარქოსა და სხვა პირების მიერ გადაცემული, აგრეთვე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისგან.
2. გალობის უნივერსიტეტს შეუძლია შეიძინოს როგორც ქონებრივი, აგრეთვე პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს ვალდებულებები.
3. გალობის უნივერსიტეტი საერთო კრებასთან შეთანხმებით უფლებამოსილია:
   ა) გაასხვისოს ან დატვირთოს უძრავი ქონება;
   ბ) მიიღოს სხვა გადაწყვეტილებები გალობის უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 28. გალობის უნივერსიტეტის დაფინანსება

გალობის უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:
ა) საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემული სახსრები;
ბ) საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული სახსრები;
გ) ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
დ) გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
ე) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქველმოქმედო ფონდი ქართული გალობის მიერ გაცემული სახსრები;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

მუხლი 29. ეკონომიკური საქმიანობა

სამეწარმეო ხასიათის საქმიანობას გალობის უნივერსიტეტისთვის შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათი და ამგვარი საქმიანობით მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს გალობის უნივერსიტეტის მიზნების განხორციელებას.

თავი VI. ცვლილებები წესდებაში, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია.

მუხლი 30. წესდებაში ცვლილებების შეტანა

წესდებაში ცვლილებები და დამატებები შეაქვს საერთო კრებას.

მუხლი 31. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. გალობის უნივერსიტეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას ახორციელებს საერთო კრება.
2. ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებისას საერთო კრება ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიასა და მის თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს ლიკვიდაციის პროცესს.
3. სალიკვიდაციო კომისიას გადაეცემა გალობის უნივერსიტეტის მმართველობის ყველა უფლებამოსილება. კომისია ავლენს კრედიტორებს, ფინანსურ ანგარიშს უსწორებს თანამშრომლებს და ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს.
4. გალობის უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონება განიკარგება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.